

ნოხჩიჲნ/კისტიჲნ მოტტ გუბრჯეჲახჲ ქისტურ/ჩეჩნური ენა საქართველოში



Европан Хартия Меттиган
меттанаш йа к1езгачера меттанаш

რეგიონული ან უმცირესობათა
ენების ევროპული ქარტია

► coe.int/minlang

Меттийн кьугалла

ენის გზამკვლევი

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

Европан Хартия меттигийн
меттанаш йа к1езгачера меттанаш
зойту европан конвенци куьгалла
до к1езгачера меттанаш махкахь
буьйцучера. Меттанийн Хартия
болх бо меттанаш ишколшкахь,
балх меттигахь, структуршкахь,
культурный центрашкахь, бийцитар
а, биц цабалитар а хьокъехь.

1999 шарахь Евросовет юккье яхач,
цо кхуьллир и Хартия. Гуьржехчохь
меттанийн Хартия куьйгалла дан
йолайелча кехатан мегар ду кистийн/
нохчийн мотт ларба, х1унда аьлча
и мотт бу к1езгачера меттанех
ца1, Гуьржийчохь буьйцуш болучарах.
Меттийн куьйгаллас кхочуш дийр
ду Европера Хартия лерина йолу
мероприятиш Ггуьржийн чохь
оьшур йолуш йолу нохчийн/кистийн
маттан.

Г1о лаца цу мероприятина, нагахь
санна шайна нохчийн/кистийн мотт
цхьацаца метте оьшуш хилча, аш
дохка г1о-дакха лоцур ду кистийн-
нохчийн мотт ларба а, баржа бан а,
мухха а гуьржийн мотт санна.

რეგიონული ან უმცირესობათა
ენების ევროპული ქართია
წარმოდგენს ევროპის საბჭოს
კონვენციას, რომელიც ხელს
უწყობს იმ უმცირესობათა
ენების დაცვას, რომლებმაც
ტრადიციულად საუბრობენ ქვეყანაში.
ენათა ქართია ითვალისწინებს
ხელშეწყობის სხვადასხვა
ლონისძიებებს, რომლებიც
შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად
და წასახალისებლად, რომ
მოხდეს ამ ენების საჯაროდ,
განსაკუთრებით სკოლებში,
კულტურულ ღონისძიებებში, მედიაში,
კომპანიებსა და ადმინისტრაციულ
ორგანოებში გამოყენება.

1999 წელს ევროპის საბჭოში
გაწევრიანების დროს, საქართველომ
იკისრა რეგიონული ან
უმცირესობათა ენების ევროპული
ქართიის რატიფიცირება. როგორც
კი საქართველოს ხელის უფლება
მოახდენს ქართიის რატიფიცირებას
და დოკუმენტი შევა ძალაში, იგი
ხელს შეუწყობს ქისტურ/ჩენური ენის
დაცვასაც, რადგან იგი წარმოდგენს
უმცირესობათა იმ ერთ-ერთ
ენას, რომელმაც ტრადიციულად
საუბრობენ საქართველოში.
მოცემული ენის გამკვლევი
მოიცავს ენების ევროპული ქართიით
გათვალისწინებულ ხელშეწყობის იმ
ლონისძიებებს, რის გამოყენებასაც
საქართველო აპირებს ქისტურ/
ჩენურის მიმართ.

მხარი დაუჭირეთ ამ ღონისძიებებს:
თუ თქვენც რეგულარულად იყენებთ
ქისტურ/ჩენურ ენას სხვადასხვა
სფეროში, თქვენ მნიშვნელოვან
წვლილს შეიტანთ ქისტურ/ჩენურის,
როგორც საქართველოს ენის,
შენარჩუნებისა და განვითარების
საქმეში.

დან დეზარგ ა, პრინციპაშ ა

- Гуьржийн махк д1ах1оттор ду 1едал а, политика а, практика а, муьлхачу меттхь мотт лелаш бу, муьлхачу меттхь маттан проблема ю, цо кхочуш дийр ду шаьш ара баьккхина некъ:
- ▶ Кистийн/нохчийн мотт мехкан культуран бахам санна ларар.
- ▶ Долуш долчу гуьржийн куьйгаллас доьхьало ийир ца хилар кистийн/нохчийн мотт махкахь баржа бан.
- ▶ Шайг долуш дан, кистийн/нохчийн мотт д1асабаржабан, и ларбан а.
- ▶ Г1о-дакъа лацар кистийн/нохчийн мотт д1асабаржабан, йа г1о-лацар кехат т1е яздар, йа нахе д1а хайтар.
- ▶ Хартияс т1елоц кистийн/нохчийн группаш юккъе уьйр ларйа а, д1асайаржийта а, культурны юкъ-меттиг ларйа махкахь йегахш йолчу группашн юккъаьхь.

მიზნები და პრინციპები

- საქართველო საკუთარ პოლიტიკას, კანონმდებლობასა და პრაქტიკულ საქმიანობას ქისტურ/ჩეჩნური ენის მიმართ იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ეს ენა გამოიყენება და ამ ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, ააგებს შემდეგ მიზნებსა და პრინციპებზე დაყრდნობით:
- ▶ ქისტურ/ჩეჩნური ენის აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად
- ▶ ქისტურ/ჩეჩნური ენის გეოგრაფიული არეალის პატივისცემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ არსებული ან ახალი ადმინისტრაციული დაყოფა დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს ქისტურ/ჩეჩნური ენის განვითარებისათვის
- ▶ საჭიროების შემთხვევაში, ქისტურ/ჩეჩნური ენის განვითარებისათვის გადამჭრელი მოქმედების აუცილებლობის უზრუნველყოფა, მისი დაცვის მიზნით
- ▶ ზეპირი და წერილობითი ფორმით, საჯაროდ და პირად ცხოვრებაში ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენების ხელშეწყობა და/ან წახალისება
- ▶ ქართილთა გათვალისწინებულ სფეროებში ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის კონტაქტების შენარჩუნება და განვითარება, აგრეთვე კულტურული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ჯგუფებთან, რომლებიც განსხვავებულ ენებზე საუბრობენ

- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1аморан форман оьшуш долу х1ума латто, 1аморан системан массо этапахь.
- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1амаба оьшуш болу г1ирс хилийта, кистийн/нохчийн мотт буйцуш воцу чунна иза 1амабан, уьш цу махкахь 1аш балахь, и мотт буйцуш болу.
- ▶ Аьтто бала кистийн/нохчийн мотт университеташкахь кхи д1а иштарчу дешарий меттигашкахь д1асабаржа бан а, 1ама бан а.
- ▶ Г1о лацар мехкашкахь Хартияс чу лоучера вовшашна кистийн/нохчийн мотт д1а-са 1амар.

Гуьржий махка шена т1е лоцу хир болу эша1маш, доьхалонаш кистийн/нохчийн мотт 1амар, баржабаран хьокъехь йа мотт д1абайта кхерам ца хилийта. Дақъа лаца кистийн/нохчийн мотт баржабан, дукхох долу дақъа лаца кистийн/нохчийн мотт буйцуш болу чарна, нийсо хилийта и мотт буйцуш болу чарна юккъахь а, кхи д1а болучарна а, йа и мотт т1е оьчучарна, дискриминацин акт ца

- ▶ განათლების სისტემის ყველა შესაბამის საფეხურზე ქისტურ/ჩეჩნური ენის სწავლებისა და შესწავლის სათანადო ფორმებისა და საშუალებების უზრუნველყოფა
- ▶ ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე არამოსაუბრე პირებისათვის ენის შესასწავლად პირობების შექმნა, თუ ისინი ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ენა გამოიყენება და აქვთ მისი შესწავლის სურვილი
- ▶ უნივერსიტეტებსა ან შესაბამის დაწესებულებებში ქისტურ/ჩეჩნური ენის შესწავლისა და კვლევის ხელშეწყობა
- ▶ ამ ქართიით გათვალისწინებულ სფეროებში სახელმწიფოთაშორისი გაცვლების შესაბამისი ფორმების ხელშეწყობა ქისტურ/ჩეჩნური ენისთვის.

ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენების მიმართ, საქართველო იღებს ვალდებულებას აღკვეთოს, თუ ჯერ არ აღუკვეთავს, ნებისმიერი გაუმართლებელი გამორჩევა, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომელიც მიმართულია ამ ენის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ხელის შეშლისა ან საფრთხეში ჩაგდებისაკენ. ამასთან, ქისტურ/ჩეჩნური ენის სასარგებლოდ სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავს ამ ენაზე მოლაპარაკეთა და დანარჩენ მოსახლეობას შორის თანასწორობის ხელშეწყობას, ან რომლებიც სათანადოდ იღებს მხედველობაში ამ ენის განსაკუთრებულ პირობებს,

хилията, кхи д1а бол баържина меттанашна дუьхьал.

Гуьржийн махко т1е лоцу, юкъ-меттиг ларйан мехкашна юккъехь, къастина гуьржийн махкахь мерапрятишца вовшах кхетаран массо матт группин юккъер къастина махкахь, профессиональны кечам бан 1 аморца кистийн/нохчийн маттан, вовшашца ларам, кхетам толирантний юкъ-меттиг хилията, мас медиа юккъе яхьа цу некъа бахъанехь.

Политикан аг1о кистийн/нохчийн матт бахъанехь, Гуьржийн махка тидаме оьцар кистийн/нохчийн матта групиш эшамаш а, цера лаамаш а. Нагахь царна оьшахь Гуьржийн махках г1о лоцур ду органш къолла, оьшург д1ахьеха а, 1едалан куьгалхошна кистийн/нохчийн маттан хьокъехь.

ДЕШАР

— Дешаран хьокъехь Гуьржийн махко шена т1елоцу кистийн/нохчийн мотт бьйцучу меттехь новкъало ца йан, цу махкахь буйцучу маттан:

არ ჩათვლება დისკრიმინაციის აქტად უფრო გავრცელებულ ენებზე მოლაპარაკეთა მიმართ.

საქართველო იღებს ვალდებულებას, შესაბამისი ღონისძიებებით ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებას ქვეყნის ყველა ლინგვისტურ ჯგუფს შორის. კერძოდ, ქვეყანაში განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში შემუშავებულ სამოქმედო მიზნებს შორის მოახდინოს ქისტურ/ჩეჩნური ენის მიმართ პატივისცემის, გაგებისა და ტოლერანტული დამოკიდებულების ჩართვა და ასევე, წახალისოს მასმედია ამავე მიზნების მისაღწევად.

ქისტურ/ჩეჩნური ენის მიმართ პოლიტიკის განსაზღვრისას, საქართველო მხედველობაში მიიღებს ამ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფების საჭიროებებსა და მათ მიერ გამოთქმულ სურვილებს. აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მიერ წახალისდება ისეთი ორგანოების შექმნა, რომელთა მიზანია ხელისუფლების ორგანოებისათვის რჩევების მიცემა ქისტურ/ჩეჩნურ ენასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

განათლება

— განათლებასთან მიმართებაში, საქართველო ვალდებულებას იღებს იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ენა გამოიყენება, ამ ენის მდგომარეობის მიხედვით და სახელმწიფო ენის სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე:

- ▶ Къорта аг1о ю ишколе даханза долуш берашна кистийн/нохчийн моттахъ хъехар шайна доьхучарна.
- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1амор ишколера дуьххьарчу классашна, кхи д1а йолу ишколера программийн дакъа санна и шайна доьхучарна и мотт 1амор шай берашна доьхучу дай-наной, и мотт 1амо луш берш тоъал хилахъ.
- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1амор юккъерачу ишколехъ, кхи д1а йол ишколера программийн дакъа санна, и мотт 1амо луш берш дукха хилахъ, йа дас-нанас и 1амор доьхуш, йа къаьстин аг1о хилахъ.
- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1амор техникумшахъ йа профессиональны аг1ор кхи д1а йолу техникумера программий дакъа санна и мотт 1амо луш берш дукха хилахъ, йа дас-нанас и 1амор доьхуш, йа къаьстин аг1о хилахъ.
- ▶ ხელმისაწვდომი გახადოს სკოლამდელი განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი ქისტურ/ ჩეჩნურ ენაზე იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება
- ▶ უზრუნველყოს ქისტურ/ჩეჩნური ენის სწავლება დაწყებითი განათლების ფარგლებში, როგორც სასწავლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.
- ▶ უზრუნველყოს ქისტურ/ჩეჩნური ენის სწავლება საშუალო განათლების ფარგლებში, როგორც სასწავლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან ზოგიერთ შემთხვევაში, რომელთა ოჯახებიც, ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება
- ▶ ტექნიკური და პროფესიული განათლების სფეროში უზრუნველყოს, რომ ქისტურ/ ჩეჩნური ენის სწავლება იყოს სასწავლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან ზოგიერთ შემთხვევაში, რომელთა ოჯახებიც, ამას ითხოვენ და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება

- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1 амор университетшгахь, йа кхи д1а йолу лакъара дешарашгахь кхи д1а йолу университетийн программийн дакъа санна.
- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1 амор кхи д1а йолу дисциплина санна баккхичарна массо хенахь хила деза дешар санна.
- ▶ Кистийн/нохчийн мотт 1 амор учителяшна а, кхи д1а профессиональны коьрта кечама, кистийн/нохчийн мотт 1 амобан мероприятиш йан.
- ▶ Орган йа органш кхолла сих-сиха отчѐт йан кистийн/нохчийн мотт 1 аморан хьокъехь йа мониторингш йан хиллачу прогрессашна, цара йина йолчу мнроприятишна, массарна д1а хоитучу аг1ор.

Кистийн/нохчийн мотт 1 адаташгахь ца 1 амочу метте Гуьржийн мохко шена т1елоцу и мотт 1 амабайта , аьтто бан, массо 1 амачу метте, кистийн/нохчийн мотт буйчуш берш тоьал хилахь.

- ▶ უზრუნველყოს ქისტურ/ჩეჩნური ენის შესწავლა უნივერსიტეტის ან უმაღლესი განათლების დისციპლინის ფორმით
- ▶ უზრუნველყოს, რომ ქისტურ/ჩეჩნური ენა ერთ-ერთი დისციპლინის სახით ისწავლებოდეს ზრდასრულთა და უწყვეტი განათლების ფარგლებში
- ▶ უზრუნველყოს მასწავლებელთა საბაზისო და შემდგომი პროფესიული მომზადება, რომელიც აუცილებელია ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე განათლების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად
- ▶ შექმნას საზედაუმხედველო ორგანო ან ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ქისტურ/ჩეჩნური ენის სწავლების დაწესების ან განვითარებაში მიღწეული პროგრესის მონიტორინგზე და მათ მიერ მიღებული ღონისძიებების შესახებ პერიოდული მოხსენებების შედგენაზე, რომლებიც გახდება საჯარო.

განათლებასთან მიმართებაში, იმ ტერიტორიაზე, სადაც ტრადიციულად არ გამოიყენება ქისტურ/ჩეჩნური ენა, საქართველო ვალდებულია იღებს ნება დართოს, წაახალისოს ან უზრუნველყოს ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე ან ქისტურ/ჩეჩნური ენის სწავლება განათლების ყველა შესაბამის საფეხურზე, თუ ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს.

СУДЕРА ОРГАНАШ:

— Гуьржийн маха шена т1елоцу судера районач кистийн/нохчийн мотт буйцу меттигашкара кхузахь йазийна йолу мераш, кистийн/нохчийн мотт бахъанехь йа и мераш судхочунна 1едална дუьхьал ца хетახь:

УГОЛОВНЫЙ СУДАН ПРОЦЕСС:

- ▶ Бехке волчунна бакъо йала кистийн/нохчийн мотт бийца лаца оьшуш чунна, совнах ахча ца луш

1ЕДАЛАН СУДАН ПРОЦЕСС:

- ▶ Процессе волчунна бакъо йала кистийн/нохчийн мотт бийца совнах ахча ца луш , оьшуш хилахь гочдархо лаца.

სასამართლო ორგანოები

— საქართველო ვალდებულებას იღებს, იმ სასამართლო ოლქების მიმართ, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ ქისტურ/ჩეჩნურ ენას, ამართლებს ქვემოთ განსაზღვრულ ზომებს, ამ ენის მდგომარეობის შესაბამისად და იმ პირობით, რომ ამ პუნქტით უზრუნველყოფილი ზომები მოსამართლის მიერ არ უნდა განიხილებოდეს ისეთებად, რომლებიც აბრკოლებს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას:

სისხლის სამართალწარმოებაში:

- ▶ უზრუნველყოს, რომ ბრალდებული სარგებლობდეს ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენების უფლებით. აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა მომსახურების უზრუნველყოფით, დაინტერესებული პირებისათვის ზედმეტი ხარჯების დაკისრების გარეშე.

სამომქალაქო

სამართალწარმოებაში:

- ▶ ნება დართოს, რომ სამართალწარმოების მონაწილე მხარის სასამართლოში პირადად გამოცხადებისას, მას შეეძლოს ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენება მისთვის დამატებითი ხარჯების დაკისრების გარეშე. აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა მომსახურების გამოყენებით.

ADMINISTRACIN СУДАН ПРОЦЕСС

- ▶ Процессе волчунна бакъо йала кистийн/нохчийн мотт бийца совнах ахча ца луш, оышуш хилахь гочдарха лаца.

Гуьржийн махка шена т1елоцу 1едалан актеш йала кистийн/нохчийн маттахь кхи д1а долу кехаташ а, кистийн/нохчийн мотт буйцуш болучарна, и кехаташ цера керахь дацахь.

ADMINISTRACIN ОРГАНАШ А, БЕЛХАЛОЙ ДЕКХАР КХОЧУШДАРХОЙ А

— 1едала иштарчу административны районашкахь тоънал нах балахь кистийн/нохчийн мотт буйцуш, кхузахь лахахь языйнаг бакъдо, тидаме юьллуш цу меттан ситуаци, 1едало шена т1елоцу кистийн/нохчийн мотт буйцучу меттахь, Гуьржийн махка шена т1елоцу ишта г1о дан пайда хуьлуч аг1ор:

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში:

- ▶ ნება დართოს, რომ სამართალწარმოების მონაწილე მხარის სასამართლოში პირადად გამოცხადებისას, მას შეეძლოს ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენება მისთვის დამატებითი ხარჯების დაკისრების გარეშე. აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა მომსახურების გამოყენებით.

საქართველო ვალდებულებას იღებს ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე ხელმისაწვდომი გახადოს სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე ის დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტულად შეეხება ამ ენაზე მოლაპარაკებებს, თუკი ეს დოკუმენტები სხვა საშუალებით უკვე არ არის მათთვის ხელმისაწვდომი.

ადმინისტრაციული ორგანოები და საჯარო სამსახურები

— სახელმწიფოს იმ ადმინისტრაციულ ოლქებში, სადაც ცხოვრობს ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის საკმარისი რაოდენობა, რომელიც ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, და ამ ენის მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველო ვალდებულებას იღებს, იმ ზომით, რითაც ეს ობიექტურად შესაძლებელი იქნება:

- ▶ Кистийн/нохчийн мотт буйцучарна цу маттахь яздина йа дашаца аьлла заявлени дала аьтто бала.
- ▶ Кистийн/нохчийн моттахь язийна долу кехаташ ара хеца и мотт буйцучарна, йа шинна а матахь а цера венрсияш.

Кистийн/нохчийн мотт буйцучарца йолу юкъ-меттиг меттерчеран а, регионныйчеран а органерчара, бакъдо лахахь язйиначунна мерашна, Гуьржийн махкан бакъо ю, бакъо яла йа/маго:

- ▶ Кистийн/нохчийн маттахь къамел дочарна мегаш ду цу маттахь заявлени чу дала, яздина йа дашанца.

Административны оганашца йолу юкъ-меттигаца кистийн/нохчийн мотт бийца Гуьржий махко т1 елоцу:

- ▶ Оьшуш хилахь гочда яздарца йа дашаца.

- ▶ უზრუნველყოს, რომ ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე პირებს შეეძლოთ ამ ენაზე შედგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადებების წარდგენა

- ▶ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ფართოდ გამოყენებული ადმინისტრაციული ტექსტები და ფორმები ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე ან ორენოვან ვერსიებში;

ხელისუფლების იმ ადგილობრივ ორგანოთა მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც მოსახლეობის ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ისეთია, რომ ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, საქართველო ვალდებულიებას იღებს, ნება დართოს და/ან წაახალისოს:

- ▶ ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე პირების მიერ ზეპირი ან წერილობითი განცხადებების წარმოდგენის შესაძლებლობა ამ ენაზე.

ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობებში ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენების უზრუნველსაყოფად, საქართველო ვალდებულიებას იღებს, განახორციელოს შემდეგი ზომები:

- ▶ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს წერილობითი ან ზეპირი თარგმანი

- ▶ Белхалой декхар кхочушдархой декхар ду болх бала 1едал балхашкахь а, оьшуш хилахь, уьш а, кхи д1а болу 1едал белхалой а кечба.
- ▶ Кистийн/нохчийн мотт буйцучарна 1едалан белхалой дехарца шайна мегач аг1ор кхочуш дан цера дехар и мотт буйцучу меттигахь.

- ▶ საჯარო სამსახურში მოხელეთა დასაქმება და აუცილებლობის შემთხვევაში, მათი და საჯარო სამსახურის სხვა თანამშრომელთა პროფესიული მომზადება
- ▶ ქისტურ/ჩეჩნური ენის მცოდნე საჯარო მოხელეთა თხოვნების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება მათი იმ ტერიტორიაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, სადაც გამოიყენება ეს ენა.

МЕДИА

— Кистийн/нохсийн мотт буйцучера интересишка хьажжина, Гуьржийн 1едало и мотт буйцучу меттиге, цу ситуацияга хьажжина, тидаме юьллуш нийса а, косвенны а компетенци 1едалан органаш ниц1а, роль а, ларйеш медиа независимость а, автономин принципыш а:

Тидаме хила деза радио а, телевидени а, халкъана пайдехь юйла:

- ▶ Телевиденина а, радиона а латто йеза кистийн/нохчийн маттахь передачаш

აქცია

— ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე პირთა ინტერესების გათვალისწინებით, საქართველო ვალდებულიებას იღებს იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოიყენება ეს ენა, ამ ენის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად და ამ სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი ან არაპირდაპირი კომპეტენციის, უფლებამოსილებისა და როლის გათვალისწინებით, მედიის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის პრინციპების დაცვით:

- იმის გათვალისწინებით, რომ რადიო და ტელევიზია ემსახურებიან საჯარო საქმეს:

- ▶ სათანადოდ უზრუნველყოს, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობამ წარმოადგინოს პროგრამები ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე

▶ Пурба дала, йа нис йан аудио а, DVD а продукци д1аса йаьржо кистийн/нохийн маттахь.

▶ Йолчу таронца кистийн/нохчийн маттахь йолу аудио - DVD продукци д1аса лелайар.

▶ Г1о лацар профессионално кечбеш журналистиш а, кхи д1а болу медиа белхалой, кистийн/нохчийн мотт буйчуш болу.

▶ წახალისოს და/ან ხელი შეუწყოს ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე აუდიო და აუდიო-ვიზუალური პროდუქციის წარმოებას და დისტრიბუციას

▶ გამოიყენოს ფინანსური დახმარების არსებული საშუალებები ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე შექმნილი აუდიო-ვიზუალური პროდუქციის მიმართაც

▶ მხარი დაუჭიროს იმ ჟურნალისტთა და მედიის სხვა მუშაკთა პროფესიულ მომზადებას, რომლებიც იყენებენ ქისტურ/ჩეჩნურ ენას.

Гуьржийн махка шена т1елоцу, хадданза луларчу меттигашка д1акхачитар радио а, теле а передачаш, кистийн/нохчийн маттах тера болу мотт буйчуцу метте, кхи новкъало ца ян цу маттахь йолчу теле-радио трансляцина луларчу меттигашна.

И доцуриг Гуьржийн махка шена т1елоцу цхьа дუьхьало ца йан шена хетарг ала, зорбанчийн органший декъашла кистийн/нохчийн маттах тер бог1учу мотт буйчуцахь. Кхочуш йар лакхахь языйна йолу парг1ато, цо дарха, дан дезаг а гойту дела, иза к1ел яха мега иштарчу формальностяшна, д1а хьоттина 1едална, ограниченишна, йа санкцияшна 1едало д1ах1оттийна йол, хил дезаш долу элементаш демократический халкъана юккъе,

საქართველო ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს მეზობელი ქვეყნებიდან რადიო და ტელე-პროგრამების პირდაპირი შეუზღუდავი მიღება იმ ენაზე, რომელიც მსგავსია ან იდენტურია ქისტურ/ჩეჩნური ენის და ხელი არ შეუშალოს ამ ენაზე რადიო და ტელე-პროგრამების რეტრანსლაციას მეზობელი ქვეყნებიდან. ამას გარდა, საქართველო ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს, რომ შეზღუდვები არ იქნას დაწესებული გამოხატვის თავისუფლებაზე და ბეჭდვითი ორგანოების მეშვეობით ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევაზე იმ ენაზე, რომელიც

халкъан парг1ато ларйархъама,
меттиган дийналла йитархъама,
могашалла а, мораль а, достоинства
а, кхесера бакъонаш а, къайлахь
хъаэцна йолу информация, йа судан
1едал независимость ларйархъама а,
объективность ларйархъама а.

Гуьржийн махка т1елоцу атьо бала
т1еэца йа тидаме йилла интересаш
кистийн/нохчийн мотт буйцучарна,
иштарчу балхашкахь муьлох хила мега
кхольлина 1едале ма бохха медиа
парг1ато бахъана.

გამოიყენება ქისტურ/ჩეჩნური ენის
იდენტური ან მსგავსი ფორმით.
ზემოსსენებელი თავისუფლებების
განხორციელება, იმის გამო,
რომ იგი შეიცავს მოვალეობებსა
და პასუხისმგებლობებს,
შეიძლება დაექვემდებაროს
ისეთ ფორმალობებს, პირობებს,
შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც
გათვალისწინებულია კანონით
და აუცილებელია დემოკრატიულ
საზოგადოებაში ეროვნული
უშიშროების, ტერიტორიული
მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი
უსაფრთხოების, მართლწესრიგის
დაცვისა და დანაშაულებათა
აღკვეთის, ჯანმრთელობისა და
ზნეობის, ღირსებისა და სხვა
პირების უფლებათა დაცვის,
კონფიდენციალურად მიღებული
ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან
აცილებისა, თუ სასამართლო
ხელისუფლების დამოუკიდებლობისა
და მიუკერძოებლობის
შესანარჩუნებლად.

საქართველო ვალდებულია
იღებს, უზრუნველყოს, რომ ქისტურ/
ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე პირთა
ინტერესები წარმოდგენილი
ან გათვალისწინებული იქნას
იმ ორგანოების მუშაობაში,
რომლებიც შეიძლება შეიქმნან
კანონის შესაბამისად მედიის
თავისუფლებისა და პლურალიზმის
უზრუნველსაყოფად.

КУЛЬТУРНЫ БОЛХ ЙА КУЛЬТУРНЫ

УЧРЕЖДЕНИЯШ:

— Культурны болх йа культурны учрежденияшкахь рамки чохь, къяьстина библиотекехь, видеотекехь, культурны меттигашкахь, мзешкахь, архившкахь, академишкахь, театрехь, кинотеатрехь, ишта литературны произведениш а, кинематографин продукци, фольклёр а, фестивалиш а, культуран сфераш а, царна юккъя ц1ена технология, Гуьржийн махко т1еоьцу цу меттиге кистийн/нохчийн мотт буйцуче, компитенци 1едалан органшна ниц1 а роль а:

- ▶ Кистийн/нохчийн маттан улле долу сибташ а, инициативаш а, ларйош, уьш йаржайан г1о деш кхи д1а цу маттахь йазийна йолу произведениш, кхечу маттахь дина долу гочдарш.
- ▶ Кхочуш хилийта дакъа лаца, произведений кистийн/нохчийн меттахь йазийна йолу, массо аг1ор хеташ йолу, кхи д1а тердолу х1уманаш а, кхи а, синхронизаци а, субтитраш кхуллуш г1о деш а, д1асайаржош а.

КУЛЬТУРული საქმიანობა და

КУЛЬТУრის დანახეპულეპეკი

— კულტურული საქმიანობისა და კულტურის დაწესებულებების - განსაკუთრებით ბიბლიოთეკების, ვიდეოთეკების, კულტურის ცენტრების, მუზეუმების, არქივების, აკადემიების, თეატრებისა და კინო-თეატრების, ისევე როგორც ლიტერატურული ნაწარმოებებისა და კინემატოგრაფიული პროდუქციის, ხალხური შემოქმედების, ფესტივალებისა და კულტურის დარგების მიმართ, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ჩათვლით, საქართველო ვალდებულიებას იღებს იმ ტერიტორიაზე, სადაც ქისტურ/ჩეჩნური ენა გამოიყენება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის, უფლებამოსილებისა და როლის ფარგლებში:

- ▶ წაახალისოს ქისტურ/ჩეჩნური ენისათვის დამახასიათებელი გამოხატვის სახეები და ინიციატივები და ხელი შეუწყოს ამ ენაზე შექმნილ ნაშრომებზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა საშუალებებს.
- ▶ ხელი შეუწყოს ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებებზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ფორმებს სხვა ენებზე თარგმანში, დუბლირებაში, დამატებით სინქრონიზაციასა და სუბტიტრების გაკეთებაში დახმარების გაწევისა და განვითარების გზით.

- ▶ Цуна жьопаллахь йолу органаш г1о дан, кечйан а, тайп-тайпана культурны мероприятиш ян, оьшуш финаншца г1о дан 1илма а, культура а кистийн/нохчийн моттахь дотита а, д1а садаржита а.
- ▶ Г1о лацар ишта дина долу хума и организаци латточо, культурны балхана, кхи д1а долу халкъ санна мотт хууш болу, кистийн/нохчийн маттахь санна персонал хилийта.
- ▶ Цунна дахьалоцуш хьалха боьвла кистийн/нохчийн мотт буйцуш болу нахана г1о дар, культурны болх бана, царна цу аг1ор оьшуш долу хума латтадана.
- ▶ Кистийн/нохчийн мттахь йолу произведенеш вовшах тухуш, цера копиш йеш а, презентациш йеш а, уьш ара хьоьцуш а хьопарийлахь йолу органш йан.
- ▶ უზრუნველყოფის, რომ სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა სათანადო თანხები გამოყოფნ ქისტურ/ჩეჩნური ენისა და კულტურის ცოდნისა და მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ისინი უწევენ ორგანიზებასა და მხარდაჭერას.
- ▶ ხელი შეუწყოს ისეთ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ კულტურული საქმიანობის ორგანიზების ან მხარდაჭერისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს თავიანთ განკარგულებაში ჰყავდეთ ისეთი პერსონალი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ქისტურ/ჩეჩნურ ენას, ისევე როგორც დანარჩენი მოსახლეობის ენას (ენებს).
- ▶ წაახალისოს ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოსაუბრეთა წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობა კულტურული საქმიანობების დაგეგმვასა და მათი წარმართვისათვის აუცილებელი პირობების შექმნაში.
- ▶ წაახალისოს და/ან ხელი შეუწყოს ისეთი ორგანოს ან ორგანოების შექმნას, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე შექმნილი ნაწარმოებების შეკრებაზე, ასლის შენახვასა და პრეზენტაციაზე ან გამოქვეყნებაზე.

- ▶ Оьшуш хилахь г1о дан, йан йа г1о дакъа лаца финансишца, гочдархойн белхалошна, терминологин куйггаллийнбелхалошна, кистийн/нохчийн маттахь йолу административны, коммерчески, экономически, социальны, технически йа нийсона т1ехь йолу терминологи ларйан а, йаржайан а.

Традиционно кистийн/нохчийн мотт ца буйцучу метте, и мотт буйцучу берш тоъал хилчи, Гуьржийн махко шена т1елоцу, маго, г1о дан, йа культурны белхана а, культурны меттигана а, оьшуш йолу функционирование латтайан лакхахь йазийна йолу пунктъешка хьоьжжина.

Гуьржийн махка шена т1елоцу кхечу махкашца йолу юкъ-меттиганца, ше доза д1а х1отто кистийн/нохчийн маттана а, культурана а.

ЭКОНОМИЧЕСКИ А,

СОЦИАЛЬНЫ А ДАХАР

— Экономически а, социальны а балхе хьаьжжина, Гуьржийн махка шена т1елоцу, болчу махке хьаьжжин:

- ▶ აუცილებლობის შემთხვევაში, შექმნას და/ან ხელი შეუწყოს და დააფინანსოს მთარგმნელობითი და ტერმინოლოგიის კვლევითი სამსახურები, კერძოდ, იმ მიზნით, რომ შენარჩუნებული იქნას და განვითარდეს შესაბამისი ადმინისტრაციული, კომერციული, ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური ან სამართლებრივი ტერმინოლოგია ქისტურ/ჩეჩნურ ენაში.

იმ ტერიტორიების მიმართ, სადაც ტრადიციულად არ გამოიყენება ქისტურ/ჩეჩნური ენა, თუ ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს, საქართველო ვალდებულიებას იღებს, ნება დართოს, წაახალისოს და/ან უზრუნველყოს შესაბამისი კულტურული საქმიანობა და კულტურის დაწესებულებების ფუნქციონირება წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად.

საქართველო ვალდებულიებას იღებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობებში სათანადო ადგილი დაუთმოს ქისტურ/ჩეჩნურ ენას და იმ კულტურას, რომლის გამოხატულებასაც ის წარმოადგენს.

ეკონომიკური და

სოციალური ცხოვრება

— ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველო ვალდებულიებას იღებს მთელი ქვეყნის მასშტაბით:

▶ Юккъера д1а йаккха мехкан 1едала йазийна йолу изложени, кистийн/нохчийн мотт лело цамогочу документашца, социальны, экономически хаттарашца, билгал, белхан контракташца а, технически кехаташца а йолу, кхи-кхи продукци йа д1анисбалар, лелор нийсонаш йолу.

▶ Ца магор практика кистийн/нохчийн мотт экономически а, социальны а аг1ор лело дуьхьало ярна.

▶ Кхузахь йазийна йоцучу кхечу аг1ор кистийн/нохчийн мотт лелабан, г1о лацар йа аьтто бар.

Экономически а, социальны а аг1ор, Гьуржийн пачхьалкха шена т1елоцу, 1едалан компетенцийн органиин рамкиш чохь, кистийн/нохчийн моттбуйцучу метте, шена ма мегга:

▶ гаауქმოს ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული ნებისმიერი დებულება, რომელიც გაუმართლებლად კრძალავს ან ზღუდავს ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენებას ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, კერძოდ, შრომით ხელშეკრულებებში და ტექნიკურ დოკუმენტაციაში, როგორცაა სხვადასხვა სახის პროდუქციისა თუ მოწყობილობის მოხმარების წესები

▶ არ დაუშვას პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ეკონომიკური და სოციალურ საქმიანობაში ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენების წინააღმდეგ

▶ ხელი შეუწყოს და/ან წაახალისოს ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენება სხვა საშუალებებით, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ზემოთ მოცემული ქვე-პუნქტებით.

ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის მიმართ, საქართველო ვალდებულებას იღებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში, იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოიყენება ქისტურ/ჩეჩნური ენა და იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად შესაძლებელია:

▶ Экономически а, социальны а дозана, ше нийса контроль йеш, кистийн/нохчийн мотт бийцийта лаамехь болсарна организаци йан.

▶ Пурба дала социальны объекташна, больницышна, къан беллачера ц1енна кистийн/нохчийн мотт буйцуш болу къан белла а, йа кхин бахъана долуш болучарна г1о дан а, йа чу баха меттиг йалар а, дарба дан а, цера маттахь.

▶ მისი უშუალო კონტროლის ქვეშ მყოფ ეკონომიკურ და სოციალურ სექტორში (საჯარო სექტორი) ორგანიზება გაუწიოს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს ქისტურ/ჩეჩნური ენის გამოყენების ხელშეწყობას

▶ უზრუნველყოს, რომ სოციალური მზრუნველობის ობიექტებმა, ისეთები, როგორებიცაა საავადმყოფოები, მოხუცებულთა სახლები, თავშესაფრები, შესთავაზონ ქისტურ/ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე პირებს, რომლებსაც ესაჭიროებათ მოვლა ავადმყოფობის, ხანდაზმული ასაკის ან სხვა მიზეზების გამო, ამავე ენაზე მათი მიღებისა და მკურნალობის შესაძლებლობა.

X1ოკху меттийн куйггаллас гойту аттар аг1ор, ишта йолу нийсонаш Европан Хартиян меттиган меттанаш йа к1езгачера меттанаш, Гуьржин пачхьалкхан парламентан декларацин проектхь хьахина йолу «Европан Хартия меттиган меттанаш йа к1езгачера меттанаш» ратификайиях лаьцна. X1ар документ кечдина ду июнехь 2013 шарахь Европан хартиях, меттиган меттанаш йа к1езгачера меттанаш лаьцна, Гуьржийн пачхьалкхо шена т1едиллинарг кхочуш дарах лаьцна, Евро Советан межведомостяш комиссиш а, експерташ а, кхольлина йолу. Хартин йерриге аг1о хьовса мегар ду веб-сайт т1ехь:
<http://conventions.coe.int> (договор №148)

ენის ეს გზამკვლევი წარმოადგენს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის იმ დებულებებს გამარტივებული ფორმით, რომლებიც მოხსენიებულია საქართველოს პარლამენტის დეკლარაციის პროექტში “რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის” რატიფიკაციის შესახებ. ეს დოკუმენტი მომზადდა 2013 წლის ივნისში „რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ თაობაზე საქართველოს ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიისა და ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ. ქარტიის სრული ავთენტური ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე:
<http://conventions.coe.int> (treaty No. 148)

Кистийн/нохчийн халкъан представитель санна, шу бакъо йу халкъан к1езгийчеран бакъонаш ларийн йолу Евро Совета конвенцин дозана чу йогуш йолу бакъонаш хила. Х1окху кехатаца Гуьржийн пачхьолкхо бакъо ло кегийчу къамнийн культура а, сина мехалаш а, 1алаш дан а, йуха метте х1отто а оьшучу х1уманца аьтто бан а, уьш ассимиляциях лардан а. Конвенцин аг1оно г1о доцу к1езганийн къаьмнийн нахана юккье, шайн мотт ларбан а, цо аьтто ло зорбанан книжкишна а, дешаран а, профессиональны кегбаран меттигаш йан а, лелоран бакъо, урамийн ц1ераш а, цу к1езгачеран маттахь лелайан, общественни дахаран дакъа лацар (неправительственни организациш а). Цо г1о лоцу кхи д1а йолу пачхьалкхашна юккье к1езгачеран бакъонаш ларийн кехат кечдан а, халкъан оьшу чунна пайдехь дакъа лаца а.

თქვენ, როგორც ქისტურ/ ჩინური ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ასევე სარგებლობთ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციით. ამ ხელშეკრულებით, სახელმწიფო ხელს უწყობს შესაბამისი პირობების შექმნას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის, რათა მათ შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი კულტურა და მათი იდენტობის ძირითადი ელემენტები (ენა, რელიგია, ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა) და იცავს ასეთ პირებს ასიმილაციისგან. ჩარჩო კონვენცია იცავს სამოგადობრივ ცხოვრებაში უმცირესობის ენის გამოყენების უფლებას და იგი ვრცელდება ისეთ ასპექტებზე, როგორცაა სახელმძღვანელოების ქონა, კერძო საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების ცენტრების შექმნისა და მართვის უფლება, სახელების გამოყენებისა და ქუჩის დასახელებების უმცირესობის ენაზე განთავსების, კერძო ხასიათის წარწერების უმცირესობის ენაზე გაკეთების უფლება, სამოგადობრივ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობა (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებში) და სხვა სახელმწიფოებთან უმცირესობათა დაცვაზე ხელშეკრულებების გაფორმება.

Европан Хартия меттигийн меттанаш
йа к1езгачера меттанаш гоЙту европан
конвенци куьгалла до к1езгачера
меттанаш махкахь буйиучера. Меттийн
куьйгаллас кхочуш дийр ду Европера
Хартия лерина йолу мероприятиш
Гзуржийн чохьх оьшур йолуш йолу
нохчийн/кистийн маттан.

Европан Хартиях меттиган меттанаш
йа к1езгачера меттанашах лаяцна, Евро
Советах а лаяцна, кхи д1а йолу информац
ховса мезар дут тхан веб-сайтш т1ехь:

coe.int/minlang
coe.int
coe.ge

Совет Европы ю коьрта организаци кху
дуьннент1ехь, адамиин бакъонаш бахъанехь
кхольлина йолу. Цу чу йоьду 47 пачхьалкх,
царах 28 ю Европейски союза юккьера.
Совет Европы юккьера массо пачхьалкха
куьг йазийна адамиин бакъона халкъашна
юккьера Европейски конвенцин договор,
адамиин бакъонаш а, демократи а, лакхара
бакъо ларйан кхольлина йолу. Цу юккьерачу
пачхьалкхашка конвенции ларйайта
хьокъехь хьожуш ю Европейски суд, адамиин
бакъонашна кхольлина йолу.

რეგიონული ან უმცირესობათა ენების
ევროპული ქართია წარმოადგენს
ევროპის საბჭოს კონვენციას, რომელიც
ხელს უწყობს იმ უმცირესობათა ენების
დაცვას, რომლებზეც ტრადიციულად
საუბრობენ ქვეყანაში. მოცემული ენის
გზამკვლევი მოიცავს ენების ევროპული
ქართით გათვალისწინებულ
ხელშეწყობის იმ ღონისძიებებს, რის
გამოყენებასაც საქართველო აპირებს
ქისტურ/ჩინურის მიმართ.

რეგიონული ან უმცირესობათა
ენების ევროპული ქართისა და
ევროპის საბჭოზე დამატებითი
ინფორმაციისათვის გთხოვთ, ეწვიოთ
ჩვენს ვებ-გვერდებს:

coe.int/minlang
coe.int
coe.ge

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა
მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი
47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება,
რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრია.
ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ
ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა
ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას,
რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების,
დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის
დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის
შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

CHE
KAT

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE